



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროგრამების დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:

ია გელენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მარნეულის კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498

სახე:

☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება


☒

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 31/10/2019 წლის ბრძანება N1041-ის თანახმად 2019 წლის 14-15 ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა შპს მარნეულის კოლეჯში.

ვიზიტის მიზანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო განათლება, ფარმაცია (სააფთიაქო) და ინფორმაციის ტექნოლოგიის დამატების ფარგლებში დაწესებულების საქმიანობის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებთან შესაბამისობის შემოწმება.


ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება, დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის შემოწმება, ვებ გვერდის შემოწმება, პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება, პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსების შემოწმება, პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრება, პრაქტიკის ობიექტებში ვიზიტი და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	☒	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)	☒	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	☒	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციასა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	მუხლი 6 / პუნქტი გ)	☒	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და	მუხლი 6 / პუნქტი დ)	☒	☐

4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

	შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.			
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 6 / პუნქტი ე)	☒	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	☒	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7	☒	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებას ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	☒	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)	☒	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	☒	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)	☒	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	☒	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)	☒	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	☒	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)	☒	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	☒	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	☒	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)	☒	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	☒	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- მარნეულის კოლეჯი დაარსდა 1991 წელს და პირველი მიღება განხორციელდა 1992 წელს, იმ დროს კოლეჯის სახელწოდება იყო „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“. იმ წლებიდან მოყოლებული კოლეჯის მთელმა გუნდმა მიზნად დაისახა (დღეისათვის კი გაწერილია მისიაშიც და სტრატეგიულ გეგმებშიც) ამ რეგიონის ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშეწყობა, ვინაიდან მარნეულის რაიონი და ქვემო ქართლის რეგიონი კომპაქტურად არის დასახლებული ნაციონალური უმცირესობებით. რეგიონში ჯერ კიდევ ბევრია აზრბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლები. ახალგაზრდებს სახელმწიფო ენის არცოდნის გარდა პრობლემად უდგათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია და „გაშინაურება“. ამ კუთხით კოლეჯში იგეგმება და ხორციელდება ძალიან ბევრი ღონისძიება: ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, დედაქალაქში, ვიზიტი ფილარმონიაში, თბილისის სხვადასხვა გასართობ ცენტრებში, ერთობლივი ღონისძიებები სხვა კოლეჯებთან ერთად (კერძო კოლეჯების ასოციაციის ხელშეწყობით). ამ აქტივობებით ახალგაზრდები ეცნობიან საქართველოს, დედაქალაქს და კომუნიკაციას ამყარებენ სხვა რეგიონის ახალგაზრდებთან.
- მრავალწლიანმა გამოცდილებამ, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობამ, კურსდამთავრებულებთან აქტიურმა კომუნიკაციამ კოლეჯს დაანახა, რომ დასაქმებისათვის და თვითდამკვიდრებისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი უნარი არის თავისუფალი კომუნიკაცია. ამიტომ 2014 წლიდან დაწესებულება სხვადასხვა აქტივობებით, დამატებითი სასწავლო კურსებით (რაც უფასოა მათი სტუდენტებისათვის) განხორციელებით ცდილობს განუვითაროს პროფესიულ სტუდენტებს და მსმენელებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარი. ამ უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები დაემატა საგნობრივ პროგრამებსაც, და მოკლევადიან გადამზადების პროგრამებსაც, როგორც სავალდებულო კურსი.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა;


VI. რეკომენდაციების შეჯამება

2.6. დაწესებულებაში გამოკრული ევაკუაციის გეგმა შეთანხმდეს სათანადოდ უფლებამოსილ უწყებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის ფართო სპექტრის პროფესიული კადრების მომზადება, სათანადო ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი კურსდამთავრებულის ჩამოყალიბება, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება და ცხოვრების მანძილზე უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ქვემო ქართლის მრავალეთნიკურ მოსახლეობაში სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ახალგაზრდებში ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის ფასეულობების დამკვიდრება, კურსდამთავრებულთა სამოქალაქო ინტეგრაცია.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში ახალი პროფესიული პროგრამის ინიცირება შეუძლია პერსონალს, დამსაქმებელს, სტუდენტს, კურსდამთავრებულს და სხვა დაინტერესებულ პირს; ინიციატორი წინადადებით მიმართავს დირექტორს, დირექტორი ქმნის პროგრამის დამატებაზე მომუშავე ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, სამუშაო ჯგუფი ქმნის მიზანშეწონილობის დოკუმენტს 2 კვირის ვადაში, ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევები და სამუშაო აისახება „პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის“ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი და ჯგუფის ხელმძღვანელი წარუდგენს დირექტორს; დირექტორის მიერ პროგრამის დამატებაზე თანხმობის

8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

შემთხვევაში ჯგუფი ოთხი კვირის ვადაში მუშაობს პროგრამის პროექტზე, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამის პაკეტს ჯგუფის ხელმძღვანელი წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად, დირექტორის მიერ პროგრამის დამტკიცების შესახებ გამოიცემა ბრძანება;


დაწესებულებას აქვს თავისივე რეგულაციის დაცვით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საჭიროების დასაბუთება(დირექტორის 2019 წლის 10 აგვისტოს N27 ბრძანების საფუძველზე სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ინიცირებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით), სადაც კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს რამდენად მიზანშეწონილია შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება,წარმოგიდგენთ თითოეულ მათგანს:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლების განხორციელების დასაბუთება:
ქვემო ქართლის რეგიონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, სადაც ქვემო ქართლის განვითარების სტრატეგიის შესწავლის შედეგად (თავი VII. რეგიონის დარგობრივი ფაქტორული ანალიზი (SWOT) გვ 32) გამოიკვეთა გარემოება, რომ რეგიონში დღესაც მწვავედ დგას სამედიცინო პერსონალის არასათანადო კვალიფიკაციის საკითხი. მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების სიმცირე რეგიონში ჩვენი ქვეყნისთვის კვლავ დიდ გამოწვევად რჩება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 აპრილის N 447 ბრძანებით საექთნო განათლება ვაუჩერული დაფინანსების მიზნით განისაზღვრა პრიორიტეტულ პროგრამად, რაც იმის ნიშნავს, რომ ამ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ვაუჩერულ დაფინანსებას, ამით გაიზრდება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ჰქონდა ქალაქ მარნეულსა და თბილისში არსებული კლინიკების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები და ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ კოლეჯთან თანამშრომლობაზე. კოლეჯის დირექტორის მოადგილემ და ბუღალტერმა მოამზადეს ინიცირებული პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გამოთვლილია საექთნო განათლების პროგრამის მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯები, კომუნალური ხარჯები და სხვა აუცილებელი და გაუთვალისწინებელი ხარჯი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის განხორციელების პროცესში. ასევე პროგრამის სავარაუდო ფინანსური მოგება. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 დეკემბრის N1082/ი ბრძანების საფუძველზე გაუქმდა მარნეულის კოლეჯში განხორციელებული პროგრამები: პრაქტიკოსი ექთანი და ექთნის თანაშემწე. 2019 წლის საშემოდგომო მიღება შესაძლებელი მხოლოდ ახალ პროგრამაზე (საექთნო განათლება) . პროგრამაზე სწავლით დაინტერესებული პირების მომართვა კი საკმაოდ მაღალია. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა და საქმისმწარმოებელმა HR მოიძიეს და შეარჩიეს პროგრამის განმახორციელებელი პირები. მათი შეფასებით კოლეჯს ამ პროგრამის განხორციელების მიმართულებით აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, ჰყავს გამოცდილი და კვალიფიციური ადამიანური რესურსი, აქვს სათანადო სასწავლო რესურსი, ასევე მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა რეგიონის კლინიკებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო) განხორციელების დასაბუთება:
საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული „შრომის ბაზრის მოთხოვნების კომპონენტის კვლევის“ შესაბამისად ქვემო ქართლში მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალში პირველ ადგილს იკავებს ფარმაცევტული კვალიფიკაციის მქონე პირებზე მოთხოვნა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 აპრილის N 447 ბრძანებით ფარმაცია ვაუჩერული დაფინანსების მიზნით განისაზღვრა პრიორიტეტულ პროგრამად, რაც იმის ნიშნავს, რომ ამ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ვაუჩერულ დაფინანსებას, ამით გაიზრდება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ჰქონდა ქალაქ მარნეულსა და თბილისში არსებულ კლინიკების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები და ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ კოლეჯთან თანამშრომლობაზე. კოლეჯის დირექტორის მოადგილემ და ბუღალტერმა მოამზადეს ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გამოთვლილია პროგრამის მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯები, კომუნალური ხარჯები და სხვა აუცილებელი და გაუთვალისწინებელი ხარჯი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის განხორციელების პროცესში. ასევე პროგრამის სავარაუდო ფინანსური მოგება. საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ საფუძველზე გაუქმდა მარნეულის კოლეჯში განხორციელებული პროგრამა: ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროგრამა (საგნობრივი). 2019 წლის საშემოდგომო მიღება შესაძლებელი მხოლოდ ახალ პროგრამაზე -- ფარმაცია (სააფთიაქო). პროგრამაზე სწავლით დაინტერესებული პირების მომართვა კი საკმაოდ მაღალია. ხარსიხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა და საქმისმწარმოებელმა HR შეარჩიეს პროგრამის განმახორციელებელი პირები. მათი შეფასებით კოლეჯს ამ პროგრამის განხორციელების მიმართულებით აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, ჰყავს გამოცდილი და კვალიფიციური ადამიანური რესურსი, აქვს სათანადო სასწავლო რესურსი, ასევე მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა რეგიონის აფთიაქებთან. მაღალია დასაქმების მაჩვენებელიც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია განხორციელების დასაბუთება:
ინტერნეტ-ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია მოთხოვნა. კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც ტექნიკურ პრობლემებს მყისიერად აღმოფხვრიან და პასუხისმგებელინი იქნებიან ქსელის გამართულ მუშაობაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც დამოუკიდებელი ბიზნესი სწრაფი ტემპით ვითარდება. კვლავ მწვავე დეფიციტია პროგრამირებაზე და მზარდია მოთხოვნა IT მხარდაჭერაზე. 2018 წლიდან კოლეჯი ახორციელებს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამას“. ამ პროექტის ფარგლებში კოლეჯის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობდნენ რეგიონის სკოლებთან. მჭიდრო კომუნიკაცია დამყარდა სკოლის მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ დიდია დაინტერესება ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამით. რეგიონის ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრების

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

დროსაც გამოიკვეთა იგივე პრიორიტეტი. 2019 წლიდან კოლეჯში შემცირდა სკოლის საბაზო საფეხურის ბაზაზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები, ქვემო ქართლის სპეციფიკიდან გამომდინარე კი სწორედ ამ საფეხურის შემდეგ მაღალია კოლეჯში სწავლის მსურველთა მომართვიანობა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 აპრილის N 447 ბრძანებით ინფორმაციის ტექნოლოგია ვაუჩერული დაფინანსების მიზნით განისაზღვრა პრიორიტეტულ პროგრამად, ეს იმის ნიშნავს, რომ ამ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ვაუჩერულ დაფინანსებას, ამით გაიზრდება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელზე. კოლეჯის დირექტორის მოადგილემ და ბუღალტერმა მოამზადეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გამოთვლილია პროგრამის მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯები, კომუნალური ხარჯები და სხვა აუცილებელი და გაუთვალისწინებელი ხარჯი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის განხორციელების პროცესში. ასევე პროგრამის სავარაუდო ფინანსური მოგება. დირექტორის მოადგილემ, და სასწავლო პროცესის მენეჯერმა შისწავლეს კოლეჯში არსებული რესურსი და აღნიშნეს, რომ კოლეჯში უკვე ფუნქციონირებს სრულად აღჭურვილი 2 კომპიუტერული ლაბორატორია 22 სასწავლო კომპიუტერით, რაც შეესაბამება ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის პროგრამის მოთხოვნებს. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა და საქმისმწარმოებელმა HR შეარჩიეს პროგრამის განმახორციელებელი პირები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საექთნო განათლება, ფარმაცია(სააფთიაქო) და ინფორმაციის ტექნოლოგია დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 4 ოქტომბრის N 40 ბრძანებით .

თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია: სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლების ენა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამებს ახლავს შესაბამისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ადაპტირებული მოდულები. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არის 40 საათზე ნაკლები.


პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია - სასწავლო გეგმაში გამოიკვეთა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ ერთ-ერთ სასწავლო კვირას საათების ჯამი კვირეული დატვირთვის შეადგენდა 41 საათს, ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით და შესაბამისად 2019 წლის 15 ნოემბერს დირექტორის N67 ბრძანებით ჩასწორდა სასწავლო გეგმა.

საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11



- შპს ავერსის კლინიკა (გაფორმების თარიღი 2019 წლის 19 აგვისტო, მოქმედების ვადა 6 წელი);
- შპს ფსიქიკური ჯამრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი (გაფორმების თარიღი 2019 წლის 13 სექტემბერი, მოქმედების ვადა 6 წელი);
- ჯეო ჰოსპიტალი (გაფორმების თარიღი 2019 წლის 2 სექტემბერი, მოქმედების ვადა 6 წელი);

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებები მოიცავდა ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებს, განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობას 1/7, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უზრუნველყოფის საკითხებს და კლინიკური მოდულების გავლისას პროფესიული სტუდენტების მათ გარეშე არდაშვებას, ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულებების დანართები, რომელშიც დაკონკრეტებულია კლინიკური მოდულების განმახორციელებელი პირების ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტსა და კოლეჯის ანგარიშგება/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, პროფესიული სტუდენტის პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილება, პროფესიული სტუდენტების წახალისების და პრობლემური საკითხის განხილვის დასმის უფლებამოსილება.

ფარმაციის(სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები:

- სს გეფა (გაფორმების თარიღი 2019 წლის 2 სექტემბერი, მოქმედების ვადა 3 წელი);
- შპს ელსტარი (გაფორმების თარიღი 2019 წლის 5 სექტემბერი, მოქმედების ვადა 7 წელი);
- შპს კრალი (გაფორმების თარიღი 2019 წლის 5 სექტემბერი, მოქმედების ვადა 7 წელი);
- [REDACTED] (გაფორმების თარიღი 2019 წლის 2 სექტემბერი, მოქმედების ვადა 7 წელი);
- [REDACTED] (გაფორმების თარიღი 2019 წლის 12 ნოემბერი, მოქმედების ვადა 7 წელი);


ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა ჯეო ჰოსპიტალის(საექთნო განათლების პროგრამა) და შპს კრალის(ფარმაცია(სააფთიაქოს პროგრამა) ბაზებზე, პრაქტიკის ბაზების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, თუ როგორ განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ადგილზე შემდეგი ქმედებები: პროფესიული სტუდენტების დასწრების აღრიცხვა, პროფესიული სტუდენტების შეფასება და სხვა. ბაზების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკის ობიექტი მოახდენს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას მატერიალური და ადამიანური რესურსით და პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვებას პრაქტიკის ობიექტის იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, მასალა-ნედლეუთან/საშუალებებთან, რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის ობიექტებზე პრაქტიკის ხელმძღვანელები არიან კოლეჯის მიერ გადამზადებული პირები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

1. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
2. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 1 ნოემბრის N 62 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
3. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით;
4. შპს მარნეულის კოლეჯის გაფორმებული პრაქტიკის ხელშეკრულებებით;
5. პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით;
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის 2019 წლის 30 ოქტომბრის N32 ოქმით.
7. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 ნოემბრის N67 ბრძანებით;
8. შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენებითი ბარათით;
9. გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ გვერდზე <http://mcm.edu.ge/> არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიის, მისიის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, პროექტების შესახებ, საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების აღწერილობა (სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, დასაქმების სფერო), შეფასების წესი, კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას განხორციელებული პროექტების, სტუდენტური აქტივობების, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურების, პარტნიორი ორგანიზაციების და ინფრასტრუქტურის შესახებ. კატალოგი განახლებულია 2019 წელს და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):


1. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგი: <http://mcm.edu.ge/>
2. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: საექტნო განათლება, ფარმაცია(სააფთიაქო), ინფორმაციის ტექნოლოგია შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:

1.1. საექტნო განათლება ;

1.2. ფარმაცია(სააფთიაქო);

1.3. ინფორმაციის ტექნოლოგია;

2. ჩარჩო დოკუმენტებით: საექტნო განათლება(ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი 09109-პ), ფარმაცია(სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი 09110-პ) და ინფორმაციის ტექნოლოგია(ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი - 06112-პ).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.


ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რაც ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში კერძოდ: მუხლი 30. სტუდენტის სტატუსის მოპოვება: პროფესიულ სტუდენტად მიიჩნევა ის პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა

14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

და სწავლობს კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამაზე; პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში – „პროგრამა“), რომელიც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს და არსებობის შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს; პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული ტესტირების გზით ან პროფესიული ტესტირების გარეშე; პროფესიული ტესტირებით ჩარიცხვა წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსების წინაპირობას; პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით; პროფესიული ტესტირების გარეშე ჩარიცხვის დროს კონკურსის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ აპლიკანტს, რომელიც დარეგისტრირდა პროგრამაზე სარეგისტრაციო პერიოდში უფრო ადრე; პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროფესიული პროგრამით და ჩარჩო დოკუმენტით; პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა აპლიკანტმა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს; ინფორმაცია სტუდენტის მინიჭებული სტატუსის შესახებ აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონული მართვის ბაზაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში; პირი კოლეჯში ჩარიცხულად ითვლება და ენიჭება სტუდენტის სტატუსი კოლეჯის დირექტორის მიერ ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან; პროფესიულ სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება სასწავლო მომსახურების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და სრულწლოვანი სტუდენტი ან არასრულწლოვანი სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი - მეორე მხრიდან;

მუხლი 35. სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების წესი : სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს კოლეჯს განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და სტუდენტის სხვა უფლება - მოვალეობებისგან დროებით განთავისუფლების თაობაზე; ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის გარდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:


- სტუდენტის მიერ კოლეჯთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;
- უცხო ქვეყანაში სწავლა;
- სასწავლო პროცესის დაწყებიდან ზედიზედ ორი თვის განმავლობაში არ გამოცხადება;
- სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- ჯანმრთელობის და ოჯახური მდგომარეობის გამო;
- მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტი განცხადებით მიმართავს დირექტორს; განცხადების შემოსვლიდან ერთი კვირის ვადაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა დირექტორის

15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

ბრძანება, ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონული მართვის ბაზაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;

მუხლი 36. სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენის წესი: სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები, რაც გახდა პირისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი; სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ კოლეჯი განახორციელებს მიღებას შემდეგ ნაკადზე; სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა შესაძლებელია ერთი საფეხური/დონეს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ; სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე სწავლის გადახდილი საფასური; პირი სტუდენტის სტატუსის აღდგენისას სწავლის საფასურს იხდის სტატუსის შეჩერებამდე მასთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით; სტატუსის აღდგენის მოთხოვნით სტუდენტი განცხადებით მიმართავს დირექტორს; განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტების დადგენის მიზნით;

განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს სამუშაო ჯგუფს რომლის შემადგენლობაში შედის:

- სასწავლო პროცესის მენეჯერი;
- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

პროგრამის ხელმძღვანელი შეისწავლის შინაარსობრივად სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერებამდე პროგრამის ფარგლებში ათვისებულ მოდულებს/სასწავლო კურსებს; ცალკეულ სწავლის შედეგებს; კრედიტების რაოდენობას; სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს კრედიტების სქემას, სადაც თვალსაჩინოდ არის ასახული ის მოდულები/სასწავლო კურსები ან ცალკეული სწავლის შედეგები, რაც უდასტურდება სტუდენტს სტატუსის შეჩერებამდე; სტატუსაღდგენილი სტუდენტი ინდივიდუალური გეგმით აგრძელებს სწავლას.


მუხლი 37. სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის წესი: სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია: პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტისათვის ამ დებულებით დადგენილი სტატუსის შეწყვეტის ვადის დადგომა; დებულების, კოლეჯის სხვა შიდასამართლებრივი აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კოლეჯს, მის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს; გარდაცვალება; აღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოების ხელმეორედ დადგომა; პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; მიმღები კომისიისათვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე; სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ის ან მეტის აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში;

16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება; სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია იმ დროისათვის დადგენილი წესით;

მუხლი 33. ფორმალური განათლების აღიარების წესი: პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით; პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით; საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, პირი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს; განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს კრედიტების აღიარების კომისიას, პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება პირს, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო 3 (სამი) სამუშაო დღისა, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შედეგების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტი ჩაირიცხოს კოლეჯში მიმდინარე პროგრამაზე, თუ გაიწეროს მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

მუხლი 34. არაფორმალური განათლების აღიარების წესი: არაფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა პროფესიული ცოდნისა და უნარების შეძენას; არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება გულისხმობს არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული ცოდნისა და უნარებისა შემოწმებას; არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარებისა შემოწმება; არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებისა და შესაბამისი დარგის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან მისი შედეგების გზით შესაძლებელია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება;


არაფორმალური განათლების აღიარება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- იდენტიფიცირება - არაფორმალური განათლების აღიარების საჭიროების, მაძიებლის კომპეტენციების, სწავლის შედეგების იდენტიფიცირება;
- დოკუმენტირება - საჭირო დოკუმენტების/მტკიცებულების შეგროვება სწავლის შედეგების მიხედვით;
- შეფასება - სწავლის შედეგების შეფასება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით;
- სერტიფიცირება - სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება სერთიფიკატით.

17

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები განისაზღვრება განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის მინისტრის ბრძანებით. კოლეჯის მიერ არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება არსებული სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად;

მუხლი 32. სტუდენტის/მსმენელის მობილობის წესი: სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით, რაც გულისხმობს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ პროგრამაზე კოლეჯის შიგნით მობილობას (შიდა მობილობა), ან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დაწესებულებიდან მობილობას (გარე მობილობა); შიდა მობილობის სურვილის შესახებ პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს დირექტორს, სადაც მიუთითებს თუ რომელ პროგრამაზე სურს გადასვლა მობილობის წესით; პირს შეუძლია შიდა მობილობით ისარგებლოს ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, არსებული კვოტის ფარგლებში; შიდა მობილობა დასაშვებია, თუ პროფესიული სტუდენტი აკმაყოფილებს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას; შიდა მობილობა დასაშვებია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მომენტიდან ორი კვირის განმავლობაში, ხოლო პროგრამის გაუქმების ან პროგრამის შეცვლის შემთხვევაში ნებისმიერ დროს; სასწავლო პროცესის მენეჯერი ერთი კვირის ვადაში იხილავს პირის განცხადებას შიდა მობილობით გადასვლასთან დაკავშირებით და წერს დასკვნას პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან შესაბამისობის თაობაზე და წარუდგენს დირექტორს;


პირს შეუძლია სხვა სასწავლებლიდან მობილობით ისარგებლოს ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, არსებული კვოტის ფარგლებში; სხვა სასწავლებლიდან მობილობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს დირექტორს, სადაც მიუთითებს თუ რომელ პროგრამაზე სურს გადასვლა მობილობის წესით; განცხადებას თან ერთვის:

- სტუდენტის მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვების სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ადრე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტი);

სასწავლო პროცესის მენეჯერი ერთი კვირის ვადაში იხილავს პირის განცხადებას მობილობით გადმოსვლასთან დაკავშირებით და წერს დასკვნას პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან შესაბამისობის თაობაზე და მის მიერ გავლილი მოდულის/სასწავლო კურსის ან ცალკეული სწავლის შედეგების ჩათვლის თაობაზე; მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, მიმღები პროგრამით ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტების ოდენობით; მოდულური პროგრამების ფარგლებში მობილობით ჩარიცხული პირისათვის საჭიროების შემთხვევაში დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაში პირს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა; განცხადების მიღებიდან ორი კვირის ვადაში დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის მობილობის შესახებ (სხვა სასწავლებელში გადასვლასთან დაკავშირებით) და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; მობილობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება დირექტორის ბრძანებით

ექსპერტების მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების, მობილობის და კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტაცია, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, დირექტორის ბრძანებები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ დაცულია მარეგულირებელ დებულებაში გაწერილი მექანიზმები;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში მონაცემები შეტანილია კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულების დადგენილი წესით - შესაბამისი ვადების დაცვით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 30 ოქტომბრის N60 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით;
2. პროფესიული სტუდენტის/სტატუსშეჩერებული სტუდენტის/მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეები;
3. დირექტორის ბრძანებებით სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის და მიღებული განათლების შესახებ;
4. კურსდამთავრებულთა პირადი საქმით;
5. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით;
6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
7. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.


ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი გაწერილია შპს მარნეულის კოლეჯის დებულებაში, კერძოდ მუხლი 38. სტუდენტის/მსმენელის უწყვეტი სწავლის პროცესით უზრუნველყოფის წესი არეგულირებს აღნიშნულ შემთხვევებს: დამდგარი ან მოსალოდნელი ობიექტური გარემოების დროს, რომელიც იწვევს სწავლის უწყვეტობის შეფერხებას, კოლეჯი

19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ასეთ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს:

- პროფესიული პროგრამის გაუქმება;
- პროფესიული პროგრამის შეცვლა;
- პროფესიული პროგრამის განხორციელების არარენტაბელობა;
- ავტორიზაციის ვადის ამოწურვა;
- ავტორიზაციის გაუქმება;
- სხვა გარემოება;

უწყვეტი განათლების მიზნით კოლეჯი სტუდენტს სთავაზობს:

- სხვა (მსგავსი კვალიფიკაციის მქონე) პროგრამაზე შიდა მობილობას;
- სხვა პროგრამაზე შიდა მობილობას;
- სხვა სასწავლებელში მობილობას;

ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად კოლეჯი აფორმებს მემორანდუმებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის გადასვლის და სწავლის გაგრძელების ხელშეწყობას, მის მიერ გავლილი პროგრამის კომპონენტების აღიარებით; ამ დებულების 1 პუნქტში გაწერილი გარემოების დადგომის შემთხვევაში, კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მენეჯერი 10 დღის ვადაში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას დამდგარი ან მოსალოდნელი ცვლილების შესახებ და იმ შეთავაზებების შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მისი სწავლის უწყვეტობა; სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

- სწავლა გააგრძელოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ჩაირიცხა განხორციელებულ ცვლილებამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- სწავლა გააგრძელოს შეცვლილ პროგრამაზე ათვისებული კრედიტების აღიარების გზით;
- სწავლა გააგრძელოს სხვა პროგრამაზე ათვისებული თავსებადი კრედიტების აღიარების გზით;
- სწავლა გააგრძელოს სხვა სასწავლებელში მსგავს ან ანალოგიურ პროგრამაზე;


სტუდენტის განცხადების საფუძველზე დირექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სტუდენტის ახალ პროგრამაზე ჩარიცხვის/გადაყვანის შესახებ, ან მიღევად რეჟიმში იგივე პროგრამის სწავლის დასრულების შესახებ; ახალ პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა/გადაყვანა შესაძლებელია მის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების და ჩათვლის გზით; დირექტორის გადაწყვეტილება აისახება შესაბამის ბრძანებაში

დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მიზნით გაფორმებული აქვს მრავალმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ კოლეჯებთან.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შეცვლილ პროგრამაზე გადაყვანის დოკუმენტაცია, რომელიც სრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



არის შესაბამისი დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულ წესებთან და პროცედურასთან, შესაბამისი ადამიანური რესურსების ჩართულობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 30 ოქტომბრის N6 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით;
2. მრავალმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებთან (22.06.2019).
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის დოკუმენტაციით;
4. შეცვლილ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გადაყვანის დოკუმენტაციით;
5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
6. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 სექტემბრის N32 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, კოლეჯში საგანმანათლებლოს პროცესის ხარისხის მექანიზმების განხორციელებას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც შედგება ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელისა და ხარისხის მართვის სამსახურის ორი სპეციალისტისაგან. ხარისხის მართვის სამსახური იკრიბება მინიმუმ თვეში ერთხელ და განიხილავს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებისათვის საჭირო საკითხებს. სამსახურის სხდომას ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი. სხდომის შედეგები აისახება ხარისხის მართვის სამსახურის ოქმში.


კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება

- პერსონალის საჭიროებათა კვლევა;
- სტუდენტის/მსმენელის საჭიროებათა კვლევა;
- სასწავლო პროცესის შეფასება;
- დასაქმების მაჩვენებლის კვლევა;
- გარე ფაქტორების კვლევა;
- თვითშეფასება

21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

ხარისხის სრულყოფისათვის კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის, რეგულარულ გამოკითხვაში. სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა.

პერსონალის საჭიროებათა კვლევის მიზანია გამოავლინოს ამ პერსონალის საჭიროებები შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის, უფლებების დაცვისათვის, ადეკვატური და უსაფრთხო სამუშაო გარემოს არსებობისათვის;

სტუდენტის/მსმენელის საჭიროებათა კვლევის მიზანია გამოავლინოს მათი საჭიროებები აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის, უფლებების დაცვისათვის, ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს არსებობისათვის;

დასაქმების მაჩვენებლის კვლევის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა კოლეჯის მიერ განხორციელებულ პროგრამებში;

გარე ფაქტორების კვლევის მიზანია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გამოვლენა და პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენა; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გამოვლენისათვის, ასევე პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასადგენად ხორციელდება გარე ფაქტორებისა და რეგიონის სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ გამოვლენილი მოთხოვნების კვლევა და ანალიზი.


თვითშეფასების მიზანია კოლეჯში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასება ერთიან კონტექსტში. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ყოველწლიურად წარუდგენს დირექტორის თვითშეფასების ანგარიშს. თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენს ანკეტა-კითხვარს, რომელიც შემუშავებულია კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ან სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. თვითშეფასების ანგარიში მზადდება სასწავლო წლის ბოლოს. კოლეჯის მისიასთან შესაბამისობის მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

- თვისობრივი კვლევა (შეხვედრა ფოკუსჯგუფებთან);
- რაოდენობრივი კვლევა (კითხვარები)

ექსპერტების ვიზიტისას განხორციელდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, დოკუმენტში გაწერილი მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელების შედეგების დაზუსტების მიზნით, პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა დოკუმენტაცია წლების მიხედვით ჩატარებული გამოკითხვების და მათი ანალიზის შესახებ, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე დანერგილია, ანალიზის შედეგები ისახება დაწესებულების წლიურ ანგარიშში, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 სექტემბრის N32 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 სექტემბრის N32 ბრძანებით დამტკიცებული კითხვარების ფორმებით: პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კითხვარით, პროფესიული სტუდენტის კითხვარით-პროგრამის შეფასება, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ფოკუსჯგუფის კითხვარით, პერსონალის საჭიროებათა კვლევის კითხვარით, მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლის ფოკუსჯგუფის კითხვარით და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ფოკუსჯგუფის კითხვარით;
3. შევსებული კითხვარებით;
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშებით;
5. გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს მარნეულის კოლეჯმა შეიცვალა ფართი, კერძოდ გადავიდა იგივე შენობის, მეორე სართულის სხვა ფლიგელში, შესაბამისად დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (საექთნო განათლება, ფარმაცია(სააფთიაქო, ინფორმაციის ტექნოლოგია) და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების(საფინანსო სერვისები, საოფისე საქმე, აღმზრდელი, ექთნის თანაშემწე(ქართულენოვანი), ექთნის თანაშემწე(რუსულენოვანი), პრაქტიკოსი ექთანი და ფარმაცევტის თანაშემწე) ფარგლებში ექსპერტების მიერ თავიდან შემოწმდა დაწესებულების ფართი და მატერიალური რესურსები, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება დასამატებელ და ავტორიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ქ. მარნეული 26 მაისის ქ. N 80	569,34

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ქვეიჯარის ხელშეკრულებით N05 (გაფორმებული 20.07.2019 წ.);

23

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

2. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
3. შენობის აზომვითი ნახაზებით;
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
5. ვიზუალური დათვალიერებით:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (საექთნო განათლება, ფარმაცია(სააფთიაქო, ინფორმაციის ტექნოლოგია) და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების(საფინანსო სერვისები, საოფისე საქმე, აღმზრდელი, ექთნის თანაშემწე(ქართულენოვანი), ექთნის თანაშემწე(რუსულენოვანი), პრაქტიკოსი ექთანი და ფარმაცევტის თანაშემწე) ფარგლებში გამოსაყენებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მინიჭებული და მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით:

დაწესებულების საერთო ფართი - 569,34 კვ.მ.

პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა A გარემოს მიხედვით - 156 ადგილი ერთ ცვალში, 312 ადგილი ორ ცვალში;

1. აუდიტორია N1 (30 ადგილი)
2. აუდიტორია N2 (16 ადგილი)
3. აუდიტორია N5 (16 ადგილი)
4. აუდიტორია N6 (16 ადგილი)
5. აუდიტორია N8 (30 ადგილი)
6. აუდიტორია N9 (16 ადგილი)
7. აუდიტორია N10 (16 ადგილი)
8. აუდიტორია N11 (16 ადგილი)

პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა B გარემოს მიხედვით - 32 ადგილი ერთ ცვალში; 64 ადგილი ორ ცვალში

1. აუდიტორია N3 (16 ადგილი)
2. აუდიტორია N4 (16 ადგილი)

პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა C გარემოს მიხედვით - 48 ადგილი ერთ ცვალში; 96 ადგილი ორ ცვალში


1. აუდიტორია N7 (24 ადგილი)
2. აუდიტორია N12 (24 ადგილი)

1) **საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტიგენტი განისაზღვრება:**

24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

A გარემოში - აუდიტორია N1 და N2 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 46;

B გარემოში - აუდიტორია N 3 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 16;

C გარემოში - აუდიტორია N 7 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 24;

კლინიკური პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებთან --- ერთდროულად შესაძლებელია 60 სტუდენტის დატვირთვა თვეში.

საექთნო განათლების მოდულებში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა გადანაწილდება შემდეგი პროცენტულობით

- დატვირთვა A გარემოში - 46 % (82 კრედიტი)
- დატვირთვა C გარემოში- 3 % (6 კრედიტი)
- დატვირთვა კლინიკაში - 50 % (90 კრედიტი)
- დატვირთვა B გარემოში - 1 % (2 კრედიტი)

საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამისთვის კოლეჯში ერთდროულად სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა **46+16+24= 86 ადგილი**

ვინაიდან პრაქტიკის ობიექტზე ერთდროულად შესაძლებელია **60 სტუდენტის** გაგზავნა (მეორე და მესამე სასწავლო წელი), ეს გარემოება წარმოადგენს შემზღუდველ ფაქტორს ამიტომ შესაძლებელია წელიწადში მაქსიმუმ 30 სტუდენტის მიღება.

საექთნო განათლება საგანმანათლებლო პროგრამისთვის საერთო კონტიგენტი შეიძლება განისაზღვროს 90 ადგილით.

- I სასწავლო წლის მიღება --- 30
- II სასწავლო წლის მიღება --- 30
- III სასწავლო წლის მიღება --- 30

2) ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტიგენტი განისაზღვრება:

A გარემოში - აუდიტორია N8 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 24;

B გარემოში - აუდიტორია N 3 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 16;

C გარემოში - აუდიტორია N 12 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 24;

პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებთან --- ერთდროულად შესაძლებელია 30 სტუდენტის დატვირთვა.


ფარმაცია (სააფთიაქო) მოდულებში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა გადანაწილდება შემდეგი პროცენტულობით

- დატვირთვა A გარემოში - 58 % (71 კრედიტი)
- დატვირთვა C გარემოში- 33 % (40 კრედიტი)
- დატვირთვა აფთიაქში - 7 % (9 კრედიტი)
- დატვირთვა B გარემოში - 2 % (3 კრედიტი)

25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამისთვის კოლეჯში ერთდოულად სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა **24+16+24=64 ადგილი**

პრაქტიკის ობიექტზე ერთდოულად შესაძლებელია 32 სტუდენტის გაგზავნა, თუმცა პრაქტიკა აფთიაქში შეადგენს მთელი პროგრამის მხოლოდ 7 %-ს ამიტომ არ წარმოადგენს შემზღუდველ ფაქტორს ამ რაოდენობის სტუდენტებისათვის.

ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამისთვის საერთო კონტიგენტი შეიძლება განისაზღვროს 64 ადგილით

- I სასწავლო წლის მიღება --- 32
- II სასწავლო წლის მიღება --- 32

3) ინფორმაციის ტექნოლოგია საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტიგენტი განისაზღვრება:

A გარემოში - აუდიტორია N6 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 16;

B გარემოში - აუდიტორია N4 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 16;

ინფორმაციის ტექნოლოგიების მოდულებში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა გადანაწილდება შემდეგი პროცენტულობით

- დატვირთვა A გარემოში - 33 % (20 კრედიტი)
- დატვირთვა B გარემოში - 67 % (40 კრედიტი)

ინფორმაციის ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამისთვის კოლეჯში ერთდოულად სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა **16 ადგილი**;

B გარემოში დატვირთვა არის 67% რაც წარმოადგენს შემზღუდველ ფაქტორს, ამიტომ

ინფორმაციის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამისთვის საერთო კონტიგენტი შეიძლება განისაზღვროს 16 ადგილით ;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ივლისის N127 გადაწყვეტილებით:

საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტიგენტი განისაზღვრა 48 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში;

საოფისე საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტიგენტი განისაზღვრა 32 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში;

აღმზრდელის საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონტიგენტი განისაზღვრა 32 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში.


მიღევად რეჟიმში კოლეჯში ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზედაც დაწესებულებას ჰყავს აქტიური პროფესიული სტუდენტები:

- ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის ქართულენოვანი პროფესიული პროგრამა - 19 პროფესიული სტუდენტი;
- ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის რუსულენოვანი პროფესიული პროგრამა - 16 პროფესიული სტუდენტი;

26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

- პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - 39 პროფესიული სტუდენტი;
- ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - 13 პროფესიული სტუდენტი;

დაწესებულების მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება დასამატებელ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს (საექთნო განათლება, ფარმაცია(სააფთიაქო, ინფორმაციის ტექნოლოგია) და ავტორიზებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს(საფინანსო სერვისები, საოფისე საქმე, აღმზრდელი, ექთნის თანაშემწე(ქართულენოვანი), ექთნის თანაშემწე(რუსულენოვანი), პრაქტიკოსი ექთანი და ფარმაცევტის თანაშემწე), პროგრამებისთვის გამოყოფილი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი და ხელშეკრულებები იძლევა საშუალებას დაკმაყოფილდეს კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პრაქტიკის ხელშეკრულებებით;
2. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა საერთო კონტინგენტის განსაზღვრა დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 5 ოქტომბრის N41 ბრძანებით.
3. ჩუქების ხელშეკრულებები;
4. შესყიდვის აქტები/ზედნადებები;
5. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიღება-ჩაბარებები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
7. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2. დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგება. სველი წერტილები გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




- 2.რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;
3. წყლის და ბუნებრივი გაზის მიწოდების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- 4.ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არსებობს ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სამკითხველოს; ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს და მართავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათი- პარასკევი : 10.00სთ – 18.00სთ . კოლეჯის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებს საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული სასწავლო რესურსით (სახელმძღვანელო, კონსპექტი, სასწავლო მასალა) და სხვა ლიტერატურით. გარდა ბეჭდური ვერსიისა მკითხველთათვის ბიბლიოთეკის კომპიუტერში ხელმისაწვდომია ელექტრონული კატალოგი და საბიბლიოთეკო რესურსის ელექტრონული ვერსიები, გათვალისწინებულია პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა. ასევე ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტის გამოყენება.

ექსპერტების მხრიდან ავტორიზებული და დასამატებელი პროგრამების შესაბამისად შერჩევით გადამოწმდა წიგნადი ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) და დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

დასტურდება:


- 1.შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით;
2. ჩუქების ხელშეკრულებები;
3. შესყიდვის აქტები/ზედნადებები;
- 4.მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიღება-ჩაბარებები;
- 5.გასაუბრების შედეგებით;
- 6.ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში. საგანმანათლებლო საქმიანობისთვის განკუთვნილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული შემდეგი ტექნიკა:

სასწავლო კაბინეტებსა და აუდიტორიებში კომპიუტერი 9 ც და მონიტორი 9 ც, ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტებში(2 კაბინეტი) კომპიუტერი 16ც+16 ც=32 ც, 2 ც მასწავლებლის კომპიუტერი, დემონსტრირების საშუალება 2 ც, პრინტერი 2 ც მრავალფუნქციური.

ბიბლიოთეკა 1 კომპიუტერი, პრინტერი კომბაინი, ადმინიტრაცია - კომპიუტერი 5ც, პრინტერი 3 ც.

დაწესებულების მთელი პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო სათათვალო სისტემით.

კოლეჯმა 2019 წლის 24 ივლისს ხელშეკრულება გააფორმა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) დანერგვის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომისთვის ამოქმედდება.

დასტურდება:

1. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით;
2. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვის შესახებ, ხელშეკრულებით გაფორმებული 24.07.2019წ;
3. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 ნოემბრის ბრძანება N 63 ინფორმაციული ტექნიკის გადანაწილების შესახებ;
4. ვიზუალური დათვალიერებით:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.


ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს მარნეულის კოლეჯის 2019 წლის 3 სექტემბრის N 32 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიზანია კოლეჯში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენის, გაფორმების, აღრიცხვისა და რეგისტრაციის სრულყოფა-კოორდინაცია, მმართველობითი საქმიანობის ეფექტის ამაღლება. დაწესებულებაში დოკუმენტების გამოცემა, გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს საქმისწარმოების ერთიანი წესების დაცვით. დაწესებულებაში წარმოებს ბრძანებების, ხელშეკრულებების, კორესპონდენციის (შემოსული, გასული), ოქმების, შიდა დოკუმენტების (ანგარიშები, შეფასების ინსტრუმენტები), დიპლომების და სერთიფიკატების აღრიცხვის ჟურნალები

29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

საქმისწარმოების სტანდარტების დაცვით. დოკუმენტბრუნვის ეფექტურობის ამაღლების მიზნით დაწესებულება წერგავს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (eFlow)

დასტურდება:

1. გასული/შემოსული კორესპონდენციის, ოქმების, ხელშეკრულებებისა და ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალებით;
2. შპს მარნეულის კოლეჯის 2019 წლის 3 სექტემბრის N 32 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით;
3. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვის შესახებ, ხელშეკრულებით გაფორმებული 2.07.2019;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N 31 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება, რომლის მიზანია დასაქმებულის სამუშაო ადგილის და მთლიანი სამუშაო სივრცის უარყოფითი ასპექტისაგან დაცვის სისტემის შექმნა, რისთვისაც მუდმივად ეცდება რესურსი მიმართოს საშიშროებისა და რისკების გამოვლენა-შეფასების მექანიზმების დანერგვის, პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და მათ საფუძველზე საწარმოო ტრამვატიზმისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებისათვის.


შპს მარნეულის კოლეჯს საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად დასახული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კოლეჯის ხელმძღვანელობა აცნობიერებს უსაფრთხოების კუთხით საკუთარ პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზრუნველყოფს სტუდენტებისა და დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას.

შპს მარნეულის კოლეჯი შრომის უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს კომპლექსურად, რისთვისაც უზრუნველყოფს:

30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

- უსაფრთხო სამუშაო პირობებს;
- დასაქმებულთა მუდმივ სწავლებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- შენობა-ნაგებობების უსაფრთხოებას;
- საგანმანათლებლო პროცესების უსაფრთხოებას;
- სამუშაო და დასვენების რეჟიმის ოპტიმალურ გადანაწილებას;
- ელექტრო დანადგარებისა და მოწყობილობების პერიოდულ შემოწმებას, შეფასებას;
- პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების ობიექტურ გამოძიებას;
- შრომის უსაფრთხოების დაცვის კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვას, ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით.
- თითოეულ თანამშრომელს სამუშაო და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციით.

ყურადღება გამახვილებულია ავარიული სიტუაციების და ავარიების თავიდან აცილებაზე. უბედური შემთხვევის ან/და ინციდენტის შემთხვევაში, იგი ეყრდნობა პერსონალის ქმედებებს, ზარალის მინიმუმამდე შემცირების, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისა და შედეგების აღმოფხვრის მიზნით.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა; შენობის მთელი პერიმეტრი აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით (ცეცხლმაქრები) თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, ევაკუაციის წესები, მანიშნებელი ნიშნები.

დაწესებულებას საშტატო განრიგით დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის საშტატო ერთეული და დანიშნული ჰყავს შესაბამისი სერთიფიკატის მქონე პირი, რომელმაც ჩაატარა ტრენინგები კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან შემდეგ თემაზე: უსაფრთხოების წესების და რისკების პრევენცია.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლ-მაქრებით მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია ინვენტართან და ახსნილია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.


უსაფრთხოების სწავლება პერსონალისა და სტუდენტებისათვის ტარდება მინიმუმ წელიწადში ორჯერ; უსაფრთხოების სწავლებას ატარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, დაცვის თანამშრომელი უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ.); ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმებას, დაცვის საშუალებების მოვლას, მათ სწორად გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;

დაწესებულებაში გამოკრული ევაკუაციის გეგმა დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის N 29 ბრძანებით, გეგმა არ არის შეთანხმებული სათანადოდ უფლებამოსილ უწყებასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა გასული კორესპონდენცია (01.10.2019წ N135), რომლის ფარგლებში

31

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიმართავს აღნიშნულ საკითხებზე კონსულტირებას/შეთანხმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტების მხრიდან გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: დაწესებულებაში გამოკრული ევაკუაციის გეგმა შეთანხმდეს სათანადოდ უფლებამოსილ უწყებასთან.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

კოლეჯი უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მყოფი სტუდენტებისა და პრესონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას; კოლეჯის ტერიტორიაზე სტუდენტებისა და პრესონალისათვის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი; პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია სტუდენტს მიეწოდება გზამკვლევის მეშვეობით სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა; პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია პრესონალს მიეწოდება სამუშაოს დაწყებისთანავე;

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ დანიშნული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი/პირები (შემდგომში - პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი); შენობაში არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კუთხე სასწავლო აუდიტორიაში, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო საშუალებები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი; კოლეჯში მატერიალური ფასეულობების დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი; დამატებითი უსაფრთხოების მიზნით შენობა აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე;

დამატებითი უსაფრთხოების მიზნით კოლეჯის გარე და შიდა პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით.

დაწესებულებას ასევე ემსახურება სპეციალური დაცვის კომპანია, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაცვის კომპანია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ობიექტის დაცვა საზოგადოებრივი წესრიგისა და ობიექტის გარეშე პირთა ხელყოფისაგან და მის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა საგანგაშო ღილაკის ან/და სიგნალიზაციის მოწყობილობის მიერ აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო შეღწევის მცდელობის შედეგად, ასევე არასასურველი მოძრაობის დაფიქსირების თუ ძლიერი ვიბრაციის შედეგად გადმოცემული სიგნალის მეშვეობით ცენტრალიზებულ დაცვის პუნქტზე მიღებული განგაშით სათანადო რეაგირების გზით.


დასტურდება:

1. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N60 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების დებულებით;
2. ხარმარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმებით, რესურსებით;
3. ევაკუაციის გეგმით;
4. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით;

32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

- 5.წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- 6.შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებზე დანიშნული პირების პირადი საქმეები;
7. რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;
8. დაცვის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გაფორმებული 26.09.2019 წ.
9. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შენიშვნა, რომელშიც განთავსებულია კოლეჯი, აღჭურვილია პანდუსით და შშმ/სსსმ პირებს შეუძლიათ შეუფერხებლად გადაადგილება(კიბეებზე პანდუსები დამონტაჟებულია), კოლეჯში არსებული სველი წერტილები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. დაწესებულების ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. კოლეჯს ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება:

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. ინტერვიუების შედეგებით.

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.


ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდზე <http://mcm.edu.ge/> განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, სტრუქტურა, კატალოგი, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, დებულება,

33

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა, ბიბლიოთეკის სერვისები, ინფორმაცია ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასერტიფიკატო პროგრამების შესახებ, რომლებსაც კოლეჯი ახორციელებს. ვებგვერდს აქვს რუბრიკა „სიახლეები“, სადაც ხდება ინფორმაციის განთავსება. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ვებგვერდზე ბოლო სიახლე განთავსებულია: 06.11.2019წ.

დასტურდება:

1. ვებგვერდით <http://mcm.edu.ge/>
2. დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით;
3. ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


საქმიანობისა და ბიზნესაქტივობის მართვის მიზნით კოლეჯის პერსონალი შეიმუშავებს სტრატეგიულ გრძელვადიან (6 წლიან) გეგმას, რომლის საფუძველზეც ყოველწლიურად იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას გათვალისწინებულია ქვეყნისა და რეგიონის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი;

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სტრატეგიული გეგმა 2019-2026 წწ, რომელიც მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და შესაძლო რისკებს; სტრატეგიული გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის შერჩევის მიზნით კოლეჯის ვებგვერდზე ან ფეისბუქგვერდზე თავსდება შესაბამისი ინფორმაცია პროცესის დაწყებამდე ორი კვირით ადრე; სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება/განხილვა ჯგუფის სრული შემადგენლობით მიმდინარეობს ორი კვირის მანძილზე მინიმუმ ორ შეხვედრად; შეხვედრებზე ჯგუფის წევრები განიხილავენ სტრატეგიული გეგმის მიზნებს. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აზუსტებენ და აკონკრეტებენ სამუშაოს ვადებსა და ამოცანებს; სტრატეგიული გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრები აისახება შესაბამის ოქმში; სტრატეგიული გეგმის პროექტის შეთანხმებული ვერსიას ჯგუფის ხელმძღვანელი წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

34

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებულია 2019-20 წწ სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს შესრულების ვადებს, ბიუჯეტს (ლარებში), შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს და შესაძლო რისკებს; სამოქმედო გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის შერჩევის მიზნით კოლეჯის ვებგვერდზე ან ფესისბუქგვერდზე განთავსდება შესაბამისი ინფორმაცია პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე; სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება/განხილვა ჯგუფის სრული შემადგენლობით მიმდინარეობს ერთი კვირის მანძილზე მინიმუმ ორ შეხვედრად; შეხვედრებზე ჯგუფის წევრები გეგმავენ სამოქმედო გეგმის აქტივობებს. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აზუსტებენ და აკონკრეტებენ ბიუჯეტს, სამუშაოს შესრულების ვადებსა და სხვა მიმდინარე საკითხებს; სამოქმედო გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრები აისახება შესაბამის ოქმში; სამოქმედო გეგმის პროექტის შეთანხმებული ვერსიას ჯგუფის ხელმძღვანელი წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების ინიციატორი და მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი არის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი; სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გეგმების შესრულების კონტროლსა და პერიოდულ მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი; ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს დირექტორს; სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ; სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ; სამოქმედო გეგმით გაწერილი კონკრეტული აქტივობების შესრულების ან არშესრულების შესახებ ანგარიშს წარმოადგენს პერსონალი; ამ ანგარიშების საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი აკეთებს ანალიზს; ანალიზში გაიწერება ინფორმაცია: სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების/არშესრულების შესახებ, დასახული ვადების დარღვევის შესახებ, შეუსრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი; ანალიზში მოცემულია ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, დასახული ამოცანების ვერ/არ შესრულების მიზეზები, რეკომენდაციები; მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი რეაგირება:


- ცვლილება სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში;
- დამატებითი რესურსების გამოყოფა;
- ვადების კორექტირება;
- და სხვა.

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საანგარიშო წლის ბოლოს აისახება შესრულებული სამუშაოს ანგარიშში; სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს დირექტორს წარუდგენს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი; შესრულებული სამუშაოს ანგარიში ეფუძნება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და სხვა მტკიცებულებებს; შესრულებული სამუშაოს ანგარიშში ასახული რეკომენდაციები აისახება მოდევნო სამოქმედო გეგმაში; ბოლო სამი წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე.

35

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

კოლეჯის წარმომადგენლებმა ასევე წარმოადგინეს წინა წლის სამოქმედო გეგმების ანგარიშები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებენ მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დასტურდება:

1. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმით 2019-2026 წწ;
2. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული 2019 -20 წლის სამოქმედო გეგმით;
3. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის დამტკიცებული დებულებით;
4. კოლეჯის წინა წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშებით;
5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმით;
6. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 სექტემბერს N32 ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის სამსახურში მიღების და განთავისუფლების წესს, არეგულირებს პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს, ადგენს სამუშაო დატვირთვას და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, თითოეული პირადი საქმე მოიცავს CV, პირადობის და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს(მოთხოვნისამებრ), დანიშვნის ბრძანების ამონაწერს, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებს(მოთხოვნისამებრ) და სერთიფიკატებს(მოთხოვნისამებრ), დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით არის შერჩეული პერსონალი და მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.


დასტურდება:

1. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 სექტემბერს N32 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;
2. პერსონალის პირადი საქმეებით;
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

36

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 სექტემბერს N32 ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის სამსახურში მიღების და განთავისუფლების წესს, არეგულირებს პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს, ადგენს სამუშაო დატვირთვას და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიქო) პროგრამის განმახორციელებლებისა და მოთხოვნილი კვოტის თანაფარდობა 17/64;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება პროგრამის განმახორციელებლებისა და მოთხოვნილი კვოტის თანაფარდობა 21/90;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია პროგრამის განმახორციელებლებისა და მოთხოვნილი კვოტის თანაფარდობა 10 /16;

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამების ხელმძღვანელს და განმახორციელებლებს. მათი განმარტებით ისინი ჩართული იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლები თავად ქმნიან კალენდარულ გეგმას, შეფასების ინსტრუმენტს და ათანხმებენ შესაბამის სამსახურებთან, იცნობენ კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებს, მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრულ გამოკითხვებში და სამუშაო შეხვედრებში, სადაც განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. დაწესებულების ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს პროგრამის განმახორციელებლებთან.


დასტურდება:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით.
2. გასაუბრების შედეგებით;
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

37



ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 სექტემბერს N32 ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის სამსახურში მიღების და განთავისუფლების წესს, არეგულირებს პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს, ადგენს სამუშაო დატვირთვას და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება:

1. შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 სექტემბერს N32 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით, მათთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით;
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:


☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

38



VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საექთნო განათლება	მეხუთე დონე/ საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საქეთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საქეთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554	180	210	ქართული	ქ.მარნეული, 26 მაისის ქ. N 80	0	ქ.მარნეული, 26 მაისის ქ. N 80 90
2	ფარმაცია (სააფთიაქო)	მეხუთე დონე/ საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352	123	153	ქართული	ქ.მარნეული, 26 მაისის ქ. N 80	0	ქ.მარნეული, 26 მაისის ქ. N 80 64
3	ინფორმაციის ტექნოლოგია	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	ქ.მარნეული, 26 მაისის ქ. N 80	0	ქ.მარნეული, 26 მაისის ქ. N 80 16

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

03.12.2019 წ

39

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქალაქი თბილისი, 14-15 ნოემბერი 2019 წელი